საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №125

2019 წ. "11" 06

ქ.თბილისი

,,შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №171-ე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №19 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

შპს ევროპის უნივერსიტეტის 2018 წლის 16 ოქტომბრის №8008 წერილის (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის №1331581), ამავე ცენტრის რეესტრის სამმართველოს უფროსის 2018 წლის 23 ოქტომბრის №1367735 სამსახურებრივი ბარათის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ,,შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №171-ე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №19 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილში და პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ინფორმატიკის ბაკალავრი.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის №33 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ნინო ლიპარტია